

K 270 169
3



47.93) 9

2-97 საქართველო
სამართლებრივი განკუთხების

9017.922)

1. 2-97

K270.169
383

მცხეთის საკათალიკოსო მამულების გუჯარი, 1447—

1448 წ. გიორგი IX-ს მიერ ბოძებული.


მცხეთის საკათალიკოსო სიგელი, ბოძებული გიორგი IX-ის მიერ, დაწერილია კარგს ტფუზე სიგრძით 280, სიგრძით $31\frac{1}{4}$ სანტიმეტრი. თავი სიგლისა დაზიანებულია. თვით სიგელი ჰალემ-სესტს წარმოადგინს. ნიშანა იხმარება სამი წერტილი ერველ სი-ტებას შემდეგ. სიგელი ბოძებულია გიორგი IX-ის შეფეხის პირველ წელს. გიორგი IX გამეფდა 1447 წ. 31 ასვანსა და 11 ივნისს შედის (იხ. ჩემი „გახტანგ უცნობი მე-XV საუბ. აფ-საზ-იმერეთის მეფეთაგანი“, 15), მაშესადამე, მცხეთის ჰვემთდ და ბეჭდილი სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1447—1448 წელს.

სიგელის თავი მეორე გვერდზე მე-XVIII საუბ. სელით: სი-გელი: კახური: და ქართლული სოფლებისა:

მე-XVI] საუკუნის სელით: სიგელი ძაგნაკორნული: და ნოდოკრისა: და ერწოსი: და ანეშური:

სეუკულად: [რო]მელი: არს: და: რომლისა:

— — ლით ექმნეს ყოველნი აღნაგნი არსისა არსთა უცვა-ლებელისა — — სა ძალგანუზომელისა, გარე შემოუწერელისა, ხოლო მიუ[დგო]მელობით ცნობილისა, რომელსა ძალი უკორცოთანი თვნიერ გარეშე მისსა სახიერებითა ვერ მისწუ-თებიან ცნობად და თუალ[ნი] შედგმად, რომელსა ცანი ვერ დაიტევნ და წესნი ანგელოზთანი უძრწიან, რომელსა კუეყა-



БИБЛИОТЕКА НАЦИОНАЛЬНОЙ АКАДЕМИИ НАУК Грузии
სამართლებრივი განკუთხების

ნა ვითარცა გუგა ეგრეთ შემოუწერია, უსაზღვრო, განუცდელი
და გარე შემოუწერელი, ურაბამო, ურაულო, ყოველგან მყო-
ფი და ყოველთა მხედი, მბადი და წარმომაარსებელი ყოველ-
თა ყოფილთა და ყოფადთა, ეპა ვითარ კსნისათვს ჩუენ ცო-
დვილთასა საშოსა შენსა უთესლოდ და უხრწნელად შეურევ-
ნელად და შეუგინებელად დაიტია დაუტევნელი ცათა და ქუ-
ყანისა და თბითა კაცობრივითა შემოსილ იქმნა, რომელმან
წმის ყოფით დაპირი აღნაგნი, ვითარ მონათა თა-
ნა შერაცხილად ჰშევ, ვიტყვ ლ-თებასა და კაცებასა ორითა
ბუნებითა სრულითა, რომლისა შობასა ანგელოზნი, ვითარცა
ლ-თსა, მოგუნი, ვითარცა მეუფესა, ვარსკულავნი, ვითარცა და-
მბადებელსა, ერნი, ვითარცა მაცხოვარსა და მწყემსნი, ვი-
თარცა მონასა მსახურებდეს, რომელსა ევნებოდა, ვითარცა
კაცსა და თავს იდვა ჩუენ ცოლმილთათვს შიმშილი, წყური-
ლი, ნაღულისა სუმა, ყურიმლისა ცემა და სამჭუალთა მიერ
გუერდსა მოწყვლვა, ეპა, რომლისა მ-რ აღიკოცა ყოველივე
მომყვრტოვნება და უსჯულოება, ცხედარო სოლომონისო,
ასულო დავითისო, რომელი შეყუარებულ იქმნა ძისაგან შე-
ნისა, რომელი ეგე ადამს ემამე და დედა ექმენ ევას, დედაო
და ქალწულად მშობელო ევმანოელისა, რომელი ეგე სამწლის
მიყვანებულ ექმენ ტაძრად, ტაძარო სულისა წმიდისაო, მა-
ხარებელო ევას ნაშობთა ბრალეულთაო, ბნელისაგან წყუ-
დიალისა ნათლად მომყვანებელო, არა მუცლით ქალწულო,
გარნა სულისა მიერ წმიდისა ნათლად მოცემისა და ჩუენდა
ზღუდედ გამორჩეულო, წარმმართებელო მეფობისა ჩუენისაო,
დიდებაო და სიმტკიცეო სკიპტრა პორტირისა და გვრგვნისა
ჩუენისაო, მეტეხთა და ხახულისა ლ-თის მშობელო, მეოხებითა
და შუამდგომლობითა თქუენითა მკადრებელმნ ძისა თქუენი-
სამნ და მონდობილმნ ცვა ფარვათა თქუენთამნ და განმა-
ერთებელმნ ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისამან ორისავე სა-
მეფოსა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმნ აფხაზთა და

ქართველთა მეფეთა მეფემან გირგი¹⁾, რაოდენი ჭება და მაღლობა შევსწირო თქუენდ მომართ, ვითარი ქველის საქმე ვქმნე წინაშე ძისა თქუენისა ჩუენდა მომართ, ესრეთ წყალობა აურაცხელისა, ვითარც ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი და შეწევნითა და წინამძღრობითა ძელისა ცხორებისათა აგარის ნათესავანი (sic) და მტერნი და წინა აღმდგომნი ჩუენნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღენდელად დღედმდე, არამედ აპა ესერა მოწევნულ იყო საშინელება და რისხვა საშინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვათა ჩუენთა და უამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთა მეფისა გრისსა და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულიყო უსჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქუეყანისა მაოკრებელი და ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესავე და წინა აღმდგომი ყოვლით ჯუარის მოსაცთა უსჯულო თემურ მრავლითა და აურაცხელითა ულუსითა და ამოეწყვდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახვლისათა მოესრნეს და ახალი იერუსალემი და ქრისტიანეთა სჯულისა საძირკუელი და განმანათლებელი, ქრისტიანეთა დედა ქალაქი საყდარი მცხეთა დაქცია და უსაშინელეს და უმწარეს მოწევნულ იყო დღე ივი²⁾. დღესა მას რომელ კარეტ (sic) საბმელ ტაძრის განიპო, მზე დაბნელდა და ქუეყანა ზარტეხილ იქმნა. ხოლო ვინათგან არა დაუტეობს უფალი კუერთხსა ცოდვილთასა ნაწილსა ზედა მართალთასა, კუაღიად მშვდობა ყო საქართველოსა ზედა და შემდგომად ამისსა ღირს ყო ღრ მამა ჩუენი პატივსა მეფობისსა მოღებად და ეგულვა და ეგულს მოდგინა კულად აღშენებად ყოვლად წმიდისა და პატიოსნისა ტაძრისა ყვდ სანეტარისა დედა ქალაქისა მცხეთისა საყდ

1) ამ სიტყვის ადგილას წერებულა განხებ ჩამორცხილად სჩანს.

2) ეს სიტყვა ჩამარებულია. სტრიქონში ჩამორცხილია სიტყვა მის.

რისა და ენება მოწყალებსა (sic) ღრთისსა და ყოვლითურთ
 სრულ ექმნა და რომელნიცა საყდრისა მამულნი უამთა შლი-
 ლობისაგან შესცვალებოდეს და საყდარსა აღარა ჰქონდეს, ყო-
 ველნივე შეწირნეს და სიგლებითა დაქმტკიცნეს. ხოლო შემ-
 დგომად მათსა, ვინათგან ინება მოწყალებანი ღრთისამნ და
 ორისავე ტახტისა კელმწიფედ მცყრობელ ვიქმნენით, რადმ-
 ცა (sic) უკუ ილავგმა გონება ჩუენი სამსახურებელად სუეტი-
 სა ღრთივ აღმართებულისა კუართისა სამეუფოსა და მიჭრონი-
 სა ღრთ მყოფელისა და ვითა სამართლად გუმართებდა პატ-
 რონისა მამისა ჩუენისაგან განჩენილისა დამტკიცება, ევრეთ
 ჯერ ვიჩინეთ გამოწულილვით ვიძიეთ და გულს მოდგინებით
 ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავატკიცეთ და ვათარხნეთ და
 ყთავისუფლეთ, რაცა და რასთანაცა ტაძრისა თქუენისა საყ-
 დრისა დედა ქალაქისა მცხეთისა შავქედს ჩამოღმართ იორის
 პირს მუხნანნი არს და მცხეთის გორა, ამას შიგნით ასწორივ,
 მაღლა მთა, საფსტე ციხე და ციხეს აქეთ ციხეს გარდმოვლით,
 სერს წავლით ტაზრებს მთამდი შემოსაზღურებით, კეხთ ფადა-
 ლაშენი და მათნი მთანი და ბარნი, სოფელის და აგარაკი,
 შენნი და უშენნი, კაწართს აქეთ დელე ჩასწორ, გაღმა სამ-
 გორთ, თამარ მეფის აღებულს რუს აქათ ჩავლით ნაგებს მზღუ-
 რამდი, ჩავლით სერსერნი, აქეთი პირ ჩავლით საჯერნე ტბა,
 შურთაზანთ კლდე, ჩავლით ლურჯი კლდე, მაპმადის გორა,
 დიდ გორას აქათ იორისკენ ესენი და ამას შიგნითნი სვეტის-
 ცხოვლის სამანნი, ერწოს სოფელი, ნოდოკარა და გორანა,
 ჩეკური მისითა მიმდგომით, პიტლოვნითა საგლეხო ერთი,
 იღს სოფელი წობენა მისითა მზღვარითა, ღაჭისძე მისითა მა-
 მულითა ძაგნაკორნათავე, ერთი კლეხი შერგილას შვილი
 გიჯიყრელი მისითა მამულითა, მონასტერი ანეში მისითა შე-
 სავლითა, სოფელი ბაგა მისითა მამულითა, ახატანს ექუსი
 გლეხი, ბიწმინების სოფლები მისითა მზღვარითა, ტოხასძენი
 მათითა მამულითა, ზედაძნელაშვილი მისითა მამულითა, ჯა-
 ჭუი მისითა მზღვარითა, ფოსკ მისითა მზღვარითა, ჯუარი მისითა

შესავლითა, ოროტითა და კეტილითა, ავჯალა (sic) მისითა
 მზღვარითა, კუნენელნი ამა წესითა, რომე რასცა გამოსავალი
 და გამოსალები გამოვიდოდეს წელიწადსა შიგა, მისი ნახევარი
 უკლებლად მცხოვასა მიხუდებოდეს და მიიღებოდეს, აგრევე
 მისაქციელური ეკუდერსა, წეროვანი და გოროვან მისითა
 მზღვრითა, წყალ შატროვანი ნასოფლარი მისითა მზღვრითა,
 მუხრანი, რაცა ძუელითგან გაჩენილი არის, მისითა წყლითა,
 ტურათა ნასოფლარი, მდა (sic) აგარა მისითა მზღვრითა, ცი-
 ხე ბრდავი მისითა მზღვარითა, ნიზა მზღვრითა, ტაირისშვილ-
 ნი მათითა მამულითა, ქარცისძე მისითა მამულითა, ნიგოზანი
 მისითა მზღვარითა, ქვეში მისითა მზღვრითა, ჭინჭველისძე მი-
 სითა მამულითა, ჭარებლისძე მისითა მამულითა, კულბითს სა-
 მი საგლეხო გაგელისშვილისა, ლიპარიტისშვილი და მიქლუ-
 ტაური, სათიყარი ნასოფლარი მისითა მზღვარითა, ზაკვ მისი-
 თა მზღვარითა, ვირშა მისითა შესავლითა, გორს ფუშრუქასძე
 და დიაკონისძენი და ვენაკი, ქოჩიბეგაური, გულიაური და
 აყუშური, რუსი მრუელაშვილი მისითა მამულითა, თავბერის-
 ძისა სანაცლოდ, ნუს სამხარასძე და ცეცხლასძე, ტანძიელნი
 მათითა მამულითა, იმერკევს მაჯანისძე და ციხე ქორაზნას
 ვენაკი, კულელურეთს რაცა ძუელითგნ მცხეთისა ყოფილა
 და არის, სარკე მისითა შესავლითა, ატენს წინუბნელი, კე-
 ზურს ზიკური, მამული ნიაბ, მეტეხნი და ჩოჩეთი ნასოფლა-
 რი, გომნი მზღვრითა, კავთისკევს გაგელისშვილი მისითა მა-
 მულითა ივანიასძეურითა და სასხორს ჟირიულითა, ძეგვ მი-
 სითა მზღვარითა, ციხედიდი მისითა მზღვარითა, არმაზის ცი-
 ხე მისითა მონასტრითა და ბაჟითა, მთას ნასოფლარი
 სათაღმისი, კარსანი მუხათგუერდი და ნაქულბაგევნი, უპიტი
 და თელოვანი მამულითა და მზღვარითა, კოდმანი მისითა
 მზღვარითა, დილუამს სამნი გლეხნი მათითა მამულითა, ქალაქს
 კარნი და ჯანდულა ფელჩისტა (sic) ქურციკა მექუაბე და ლუ-
 კაძე ტეხისგალა და მამული, მეზეთედ სომხითს ყორანთა მი-
 სითა მზღვარითა, ახოტა, დლანი, მძლთი, სხვვნი, შეტლა,

მთაითა მზრთა¹⁾). ეს სულკურთხეულსა მამასა ჩუენსა მეფეთა მეფესა ალექსანდრეს შეწირნეს თარხნად თავისუფლად და შეუვლად დაემტკიცნეს. აწ ჩუენ ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსალებისაგან, არა ეთხოებოდეს და არა ეწერებოდეს არა ოდეს და არას ერთა შიგა, არა არ დიდი სათათო ულუფა, არ წურილი საწერი მუდამი ულუფა, არ მეჯინიბეთა, არ ბაზიართა, არ ახორისალართა, არ მეძაღლეთა, არ ულაყი ეთხოებოდეს, არ საკლავისა შემნახვნი, არ სამზარულოს შეშის მზიდავნი და არ წყლის მზიდავნი და რაცა კაცისაგან მოიგონების და ანუ მწიგნობრისაგან დაიწერების არასთანა არა ეთხოებოდეს და არა ეწერებოდეს არაფერი და არა სათხოვარი არა და არა ვის რა საქმე უც მცხეთისა შესავალსა შიგან, არ კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა და მოურავთა და არა სხეისა ადგილისა მოურავთა, ვინცა მცხეთისა საქონებელსა ახლოს იახლოს არას დაბადებულს და არას ნათესავსა კაცა არა საქმე უც მცხეთისა შესავალსა, გუერდის არ პური და არ ღვნო, არ ძროხა, არ საკლავი, არ სამუშაო არასთან არა და ვითა არავინ ღირსა და ვერცავინ მკადრე არს მტკიცედ ბრძანებულისა ამის ჩუენისა მოშლასა, აგრე უცილებლად ყოვლისა კაცისაგან მოგაჟსენეთ თქუენ, დიდისა და ცათა მობაძესა ახალსა იერუსალიმსა და სამკუდრებელსა ჩუენსა დედა ქალაქსა მცხეთას კათოლიკე ეკლესიასა და მას შინა სუეტსა ღრთვა აღმართებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა ღრთ მყოფელსა წარსამართებელად მეფობისა და განგრძელებისათვეს დღეთა ჩუენთასა და ნუგეშინის საცემელოდ ცოდვილისა სულისა ჩუენისა დღესა მას საშინელესა და ზარის საკედელსა, რათა გვოხო წინაშე მსაჯულისა და დაგვცვნე არკერძოვე მტერისა საბრკეთა და ყოველთავე სავნებელთაგან და აპა თქუენ, წმი-

¹⁾ ეს 2 სიტყვა სტრიქონს ზევით სწერია. უნდა იყოს: მათითა მზღვარითა.

და მღდელთ მთავართ მთავარო, პატიოსანო და მიმსგავსებულო და თანამერაბამეო წმიდათა მღდელთ მოძღვართა ბასილი და გრიგოლისო, ქრთლისა კუზო დავით, რაგუარაც ჩუენგან ასრე დამტკიცებულსა და განთავისუფლებულსა მართებს, ეგრეთ მვედრებელ იქმენ ღრთისა მიმართ მოსატევებელად ცოდვათა ჩუენთა და ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა და ვედრებათა შინა თქუენთა და აწ ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ანუ დიაცმან, ანუ მძლავრმან მძლავრობითა, ანუ უქუედაესმან რჩმისათვს შეცვალოს და აელ ყოს ამისად შლად და ქცევად და რაცა ამაშიგა მცხეთისა საქონებელნი მამულნი დაგვწერიან, მისად გამოკუებად, ანუ ვინ იურვოს, ანუ მოციქულად შეექნას, ანუ რასაცა მაზეზისა შემოღებითა შეცვალოს, შემცა იცვალების სჯულისაგან ქრისტიანეთისა, რისხავსმცა დაუსაბამო ღრთი, მამა, ძე და სული ცხოველი. უკეთუ მეფემნ შეცვალოს, მეუფეო მეუფეთაო, შენ იგი შეცვალე დიდებისაგნ შენისა, უკეთუ დედოფალმან შეცვალოს, დედოფალო დაბადებულთაო, შენ იგი შეცვალე დიდებისაგნ შენისა და ძისა შენისა და ვინცა და რამნცა ვუარმან კაცმნ ანუ დიაცმან მოიგონოს და შეცვალოს, ანუ საქმით ისაჭმოს, ანუ თვით თავისათვს, ანუ სხუისათვს, აღიკოცენ და მოისპედ ქუეყანით, საკსენებელი მისი კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, შემცაედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეეზისი, შიშვილი იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, ნესტორ და ოროგინეს თანამცა არს სამკდრებელი სულისა მისისა და მის ზედამცა დაესრულების კმა იგი ჯუარცუმისა, რომელი თქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა და ასდამერვისა ფსალმუნისა წყევა მას ზედამცა დაჰკდების და ვინ დაამტკიცოს, ღრნ ყოველი გაგებული მისი მტკიცე


K270.169

ყოს. დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ინდიკტორნა მეფობისა ჩუენისსა შ, ქვნს რლე, დეკემბერსა კე, პელითა ელიოზის ძისა ელიოზისითა.

ხელფას: ქ მეფეო მეფე გიორგი ვამტკიცებ ნებითა
ღმრთისათა.



БИБЛИОТЕКА



13270.169
3 94036940
903-10000